


F



# სატირიკველი


საქართველო

ბაზეთის № 161

დაბათების

7

პკირა, 6 ქრისტეშობისთვე 1915 წ.



იროლიონ ევლოშვილი.

## სატრფოვ-ნალველო!

ლიახ, ის მიყვარს, სიყრმიდანვე ის შევიყვარე,  
 თვით დედის ნანა კილო ტკბილი და მგლოვიარე  
 მასზე მიმღერდა, აღმებეჭდა გულს მისი სახე  
 და აქამომდე, ვით საუნჯე, ის შევიჩანე!  
 გულისა ტოლო! მშენებთა ვინ შეგედაროს?  
 თვითონ სამოთხემ შენს წინ უნდა თავი მოხაროს,  
 რადგან შენა ხარ მხოლოდ ღმერთი, ღმერთი უძლევი  
 მაგრამ მეკუთვნი მომაკვდავსა, შენა ხარ ჩემი!  
 თავისუფალო, ფრთა-მედგარო, მეფეთამეფევე,  
 სხევისთვის უცხოვე, მხოლოდ ჩემო გულისა ტოლო!  
 განუსაზღვრელო, ვით სამყარო, თვისის სივრცითა  
 მომყე, ვიაროთ კიდით-კიდე, სატრფოვ-ნალველო!

... და როდისღა არ, სევე ჩემთან  
 მე გმირთ-გმირი ვარ, უძლეველი შთა-გოლასთი,  
 შეუღრეკელი ნაეი ჩემი იბრძვის ტალღებთან  
 და ვერას მაკლებს მონატყორცი ზვირთი იმათი!  
 შევბისა ცრემლი დაბადებით გულს შემხმარია,  
 ის სულელია ვისაც ოდეს გაუხარია!  
 სასაცილოა მზის შუქზე რომ ბრამს ეღიმება,  
 ის კი არ იცის, რომ მზე მასზე დაიცილება!  
 რა ბედენაა კაცთა შორის და მატლებსა!  
 მათ დასაწყისი ერთი ჰქონდათ, ერთი აქვთ ბოლო;  
 მხოლოდ შენა ხარ უკვლავება, შენა ხარ ღმერთი  
 მოდი ჩავიკრა, მოდი, გულში სატრფოვ-ნალველო!

ამ ცხოვრებასთან შენ მიმჯაჭვე, მომე სიცოცხლე,  
 ჩემსა სარეკელს შენ ამშვენებ, ვსტკბები შენითა;  
 ბევრჯელ მოქანცულს ძალა კვალად შენ განმიახლე,  
 და მიგდებულს ჩანგს კვლავ დავკარი აღმაფრენითა!  
 შავი სიმები ამოვქსოვე შენის გულიდან  
 და მას გაგუბი, შენა მღერი, ეს შენი ხმაა;  
 კურო-მეგობართ გროვა გვიყუფეს ორს თანამგზავრსა,  
 ჩანგს დობლს ესერიან: ეს იმათი წმინდა აღთქმაა.  
 მაგრამ თამამად გადასდინხარ მთის მწვერვალებზე  
 სამყაროს მეფევე, თვით სამყაროვე, მის მბრძანებელო,  
 შავის მანტიით ამართული ცრემლის კვარცხლბეკზე  
 შენა ხარ, შენა, ეს შენა ხარ სატრფოვ-ნალველო!

... და მოქრუშულა, ძირს ღვართქაფი მოექანება,  
 ძრწის დედამიწა, მხეცთან კაციც ჰერს ეფარება;  
 წვიმა ცეცხლისა ამოუშვა ძირით ჯურღმულმა,  
 მუხლთ მოიდრიკა მოწიწებით ყველა სულდგმულმა!  
 შიშიც მსხვერპლია, ვისა სწირვენ კია-ლუანი  
 და ამბობენ კი ღმერთი არის ადამიანი!  
 მხოლოდ შენ სდგეხარ ნანგრევებზე ამ დროს თამამად  
 შავის გვირგვინით მეფევე ბრძოლის დაუძლეველო,  
 ვინც რომ სიხარულს შეეჩვია—ქალაჩუნაა,  
 შენ კი გმირი ხარ, მარად გმირი, სატრფოვ ნალველო!  
 ... უკოდს, ძირს ჩამოვეშვი,  
 მახსოვს მე ერთხელ მოესწოთ პირს შევხვდი პეპელას;  
 ყვავილთა შორს დავიჭირე, აღარ მევეშვი,  
 მაგრამ ამავ დროს მიდნებოდა მწარე ნაოჯელი;  
 თავდავიწყებით გადავეყვი ჩემს გულის ძვერას.  
 წყაროს წკრილი ყურს მიტკობდა, პეპელა—ტუჩებს,  
 მკერდზე ედემი გადმეფურსა, გადამეშალა,  
 მაგრამ ამავ დროს მიდნებოდა მწარე ნაოჯელი;  
 ვძაბუნდებოდი, მაკლდებოდა ღვთიური ძალა;  
 მე გილაატე, სატრფოვ ჩემო, აწ კვლავ შენთან ვარ,  
 ვწევარ შენს მკერდზე, შენს ძუძუებს ვეალურსები,  
 ვეხვევი შენს ყელს და შენს ყელსვე გარს შემოვავლე  
 ჩემნი საერთო საყვარელი ჩანგის სიმები!  
 აწ მშვენიერო, მივცემივართ კვლავ ოკეანეს,  
 უკუ გვიგდია სიხარული, ბედნიეობა;  
 ხან ჯურღმულის პირს, ხან ნატყორცთა ზვირთთა მქუხარეთ  
 დროშა თამამი, დროშა შავი თავზე ეშლება.  
 ბედის მძებნელო, შენ განშორდი ამ საფლავის გზას,  
 შენ ვერა ჰპოვებ აქ სიხარულს და სიტკობებს!  
 და მომღურავი, შემომწყრალი ჩვენს ცხოვრებაზე  
 მალე დაიწყებ ტირილს, მოთქმას, ლაჩრულს ყბედობას.  
 ჩვენ კი, შენ ჩემო ერთად-ერთო ტოლო გულისავ,  
 სხევისთვის უცხოვე ჩემო სატრფოვ და საყვარელო,  
 მომყე კუბომდე, შავი დროშა იქ გაწითლდება!  
 ჩემო სიცოცხლევე, ჩემო სატრფო, სატრფოვ-ნალველო!\*)

ი. ევლოშვილი.

\*) ლექსი ამოღებულია ძვირფას მგოსნის ლექსთა კრებულიდან, რომელიც ეხლა იბეჭდება.



# სის კვეთ

სურათი.

1

ცის შუა გულზე დაკიდებული  
 მზე ცეცხლოვანი სწვავდა ქვეყანას  
 და დედამიწაც აღ-მოდებული  
 ალაპლაპებდა ქარვის ფრად ყანას.  
 იქვე მახლობლად, დიდ ქანდრის ჩრდილში,  
 შესასვენებლად და საგრილებლად,  
 იწვა მომკელი და ლამაზ ძილში,  
 ლამაზ სიზმრებით ოხრავდა ნელად.  
 ამ დროს მოფრინდა ქედანი წყნარი  
 ჩამოჰლულუნა ხმა ნაღვლიანად;  
 და ის ლულუნი, ის უცხო ხარი,  
 ყურში ჩაესმა მშობლიურ ნანად.

2

მზე მშვენიერი, მზე დიდებული,  
 დასავლეთისკენ გადაიხარა;  
 დაიძრა სიო აგრილებული  
 და ქანდრის ფოთლებს შემოუარა.  
 გამოელვინა მადლიან მშრომელს.  
 მზე აღარ სწვავდა სატრფო ქვეყანას.  
 წამოხტა ზეზე ვეფხვივით მალი  
 და ნამგლით ხელში ეკვეთა ყანას.

გ. უიშვილი.

# უხილავი

მე ვარ კუნძული ქარისგან მივიწყებული,  
 კუბოს ფერხულში დავტრიალებ—არსი ქებული!  
 ვინც არის ქვეყნად, ყველა ვნახე ცრემლით რებული,  
 ყველა სამარეს ეკონება გაფითრებული.

გაჰქრება მისთვის ცაში მზე და მნათობთ კრებული,  
 გახდება როგორც ზღვის კუნძული მივიწყებული...

\* \*

მე ვარ სიზმარი!—ტეთრ ბაღაში სიზმარი თეთრი...  
 ქვეყნად ორნი ვართ.. იგი და მე—სულ სხვა გვაქვს ხედრი—  
 მას სხივი ჰმოსავს—მე წყვილია ბნელი და მკვეთრი...  
 ის უხილავი, მე ხილული—სიზმრის სიზმარი..  
 იგი—სიმშვიდე მე—უდაბნოს სამუმი ქარი,  
 მე სიბნელეში დავყალიბებ.. იგი იქ არი—  
 სად სხვა სიზმარი გადაშლილა წყებად და წყებად  
 სადაც სიცოცხლე გარდაქმნილა თავ-დავიწყებად...  
 მუდამ ერთად ვართ.. მაგრამ იგი ჩემთან არა სჩანს,  
 და ალოდები ვით მშობელი შვილის იალქანს..  
 ის ჩემთან იყო.. ოდეს, სადაც ის ჩემთან სჩანდა,  
 მას ხელი ცრემლით, ნეტავ რისთვის დაუგვიანდა?..

იგი გაგხადე სულის დედოფლად სიხალისე-მდოვენი ლურჯი სოსანი,  
 საცა ნავი ნაპირს მოდგება მოვა ნათელი და სიყვარული...

მივეგებები სულის მეფეს და ვეტყვი: დიდხანს, დიდხანს გელოდი  
 ნუ თუ ჩემსავით შენც სიზმარი ხარ, ნუ თუ ჩემსავით დაგუარავს ლოდი?..

ოჰ, სხივოსანო, ჩემგან შორს მყოფო, ოჰ მოჩვენება, შენც ხარ სიზმარი,  
 მე შემოდგომით ყვავილის დროს შენც შემოდგომით ფოთოლი მხმარი..

\* \*

ჩამოვაცალე სიმების კვართი, ჩამოვაცალე ცისკრის გვირგვინი..  
 მე დედოფალი აღარ მყავს, აღარ... გულდასხობილმა ვიწყე ქვითინი..

\* \*

ორნი ვართ კვალად, მე ხილული ის უხილავი.  
 ის ჩემთან იყო.. შეაჩერა დალილი ნავი!  
 ვხედავ ნათელი ემატება—უდაბნოს დამწვარს,  
 ის კვლავ დედოფლობს... ამოების სცილდება საზღვარს..  
 იგი მოჰფარდა... მაგრამ მალე ჩემთან იქნება,  
 კვლავ ჩემთან მოვა, კვლავ დედოფლად გარდაიქმნება..  
 მე დავრჩი ბნელში და ვერ მივწვდი არსი ქებული,  
 კვლავ დავყალიბებ სიბნელეში ცრემლით რებული,  
 მზე და სამარე! არის ჩემთა ახრთა კრებული!  
 მე დავრჩი, მაგრამ კვლავ მასთან ვარ შეყვარებული!..  
 — გამომეტყვადე!—თრთის კუნძული მივიწყებული...

გ. ლეონიძე.

# ანაკრძონის ტღაგი

დღეს მსურს მოლხენა.

დღეს მსურს მოლხენა. ღვინით ვავსებ ჩემს ოქროს ფიალს,  
 აღარად ვავდებ ცხოვრების ჩარხს, მის აფრის ფრიალს,  
 ვივებ ლოტუსსა, ზეთის ხილის შტოთა ფურცელსა,  
 და მით კვლავ ვივზნებ სისხლით სავეს ქარღვებში ცეცხლსა.  
 ცხოვრება მიჰქრის, ხან მოკლეა, დაგვმარხენ დღეს—ხვალ.  
 ძვალს მიწა მტვრად ჰფეკვავს, რაკი ერთხელ საფლავში ჩახვალ,  
 რა საჭიროა შემდეგ ჩვენზე მოთქმა და ხარი,  
 დამწყალობება ღმერთებისა, ვაების ქარი?  
 ვისაც ჰსურს მომცეს სიამე და სიცოცხლის ღებენა,  
 აჰა, მოვიდეს და მაჩვენოს ვარდის მოფენა,  
 უხმეთ ჩემს მხევალს, იწყოს ჩემს წინ ცეკვა-ყიენი,  
 სურნელებითა შემაზავოს, დამითროს ყინი.  
 დღეს მსურს მოლხენა, ვიდრე მკვდრებთან ერთად ვიცეკვებ:  
 ასე დამთვრალი ბახუსთანა ერთად ვიცეკვებ,  
 მსურს დავივიწყო რომ ვარსებობ, მწყურის ტრფიალი  
 რომ მით ჩავიქრო უქმ ცხოვრების ზრუნვის ტრიალი...

Candide.

# ლაგე ალაზნის პირად...

ალაზნის პირად გავატარე მთელი  
 ღამე... ღამე რაღაც ჯადოსნური და  
 საოცნებო...

შხის ჩასვლის შემდეგ ნელა-ნელა  
 ამოცურდა თავის უხილავის კიდობნი-  
 დგან წყვილიადის გამფანტავი, ღამის  
 მფლობელი მთვარე... წამოვიდა მალა-  
 მალა, ზღაზნით, ამაყად, კეკლუტად  
 და დედა-მიწის ზურგს თვალი გადა-  
 აგლო...

მე ერთ უხარ-მაზარ მუხის ქვეშ  
 ვიყავ დაბარგებული, რომელიც გან-  
 მარტოვებით იღვა მინდვრად, თითქოს  
 სხვა ხეებთან არა კადრულობსო. მე-  
 დიდურად გადაეჭიმნა თავისი უშვე-  
 ლებელი და მრავალი ტოტები... ერთი  
 ტოტი შიგ ალაზნის გადაეკიდნა და  
 როგორც ახლად დანიშნულს, რაღა-  
 ცას ეთამაშებოდა. მის ვეებერთე-  
 ლა ფულუროში თუნდ მთელი ოჯახო-  
 ბა მოთავსდებოდა გაჭირვების დროს...

ჩემდა შეუმჩნეველად მთვარეს კარ-  
 გა ამოემალაურნა... და, მოუსვენარი  
 კოტი, ისიც ხომ ღამის სტუმარია,  
 როგორც მთვარე, ხან სად დაიკვნე-  
 სებდა და ხან სად... ერთხელ თავზე-  
 დაც კი გადმომაფრინდა და ერთი  
 ისეთი დამკვილა, რომ შიშის ზარმა  
 ამიტანა... იქნება იფიქრა ეს ახალი  
 ნადირი, ახალი სახისა საიდგან-და  
 მოსულაო!...

არც თუ ოლოლს ეძინა, ამანაც ხომ  
 ღამით იცის თავისი მუსიკის ამოძრა-  
 ღება... იმისთანა ხმით გასძახოდა თავ-  
 ვის საყვარელ ძმას, რომ კაცს ურუან-  
 ტელი დაუფლიდა სხეულში... ესენი  
 ხომ დედი-ნაცვლისაგან შემინებული  
 გერები არიან, და-ძმანი... თქვენ არ  
 იცით?!...

თურმე მინდვრად საქონილი გაუ-  
 ტანებიათ სამოვარზედ და დაუპარ-  
 გავთ...

სისხლის მამელ დედი-ნაცვლის ში-  
 შისაგან შინ ვეღარ დაბრუნებულან  
 და უნატრიათ ფრინველებად ქცეუ-  
 ლიყვნენ. თურმე ღმერთს მათი ნატვრა  
 აუსრულდება... ქვეულან „ოლოლებად“  
 და მას აქეთ დაეძებენ ერთმანეთს,  
 კარგა ხნის ძებნის შემდეგ, დაი გას-  
 ძახებს ძმას:—„თევდორეე... იპოვ-  
 ნეეე...“—„ვერა, ვერა, ვერააა“ ძმა  
 უპასუხებს... და ამნაირად შეუდგებიან  
 ხელ-მეორედ ხარების ძებნას... მას აქეთ  
 შემრჩა ხსოვნაში, რე როდესაც ამათ ხმას  
 გავიგონებ, თვალზე ცრემლი მომდის  
 და უგზავნი მტარვალ დედი-ნაცვალს  
 უზომო წყევლას... ოლოლის ხმა ახლა  
 ბულბულმა შესცვალა...

ამ მგოსანთ მეფემ იმნაირის  
 გრძობით დასძახა თავის სალამურს,  
 რომ მთლად სმენად გადავიქცე...

არ ვიცი მიმინოს ვერა ხედავდა და  
 იმისი არ ეშინოდა თუ რა, გულს თან  
 აყოლებდა თავის შეუდარებელ ხმებს...

მაგრამ, მარტო თითონ არ იყო...  
 აქ ბევრი სხვა და სხვა მომღერალი  
 ფრინველები შეგროვილიყვნენ და  
 მგონი, რაღაც სიმფონიური სალამო  
 გაემართათ...

ლოტრად თვითონ დამდგარიყო  
 ჩვენი ცნობილი მომღერალი ბულბუ-  
 ლი და როცა თვითონ გაათავებდა  
 რომელსამე ჰანგს, ახლა თავის ხოროს  
 მიუბრუნდებოდა ხოლმე გასამეორებ-  
 ლად...

პირ-ბადრი მთვარე საშუალამო...  
 ასულიყო...

განა ხეები კი ბანს არ აძლევდნენ  
 იმით სიმღერას?! ისეთი გრძობით  
 დასძახონენ თავიანთ განუწყვეტელ  
 შრიალით, თითქმის ერთმანეთს ეჯი-  
 ბრებიანო!...

ჩემი ბებერი მუხა კი, მგონი ალა-  
 ზნის ნამით დამთვრალიყო და რო-  
 გორც ბურანში მყოფი ადამიანი,  
 თავს აკანტურებდა...

ვერხვი!.. ვერხვი კი, რაღაც განუ-  
 წყვეტელ ზღაპარს ელაპარაკებოდათ,  
 თუ არ ვიცი, სიტყვას ამბობდა... ტო-  
 ტებს კი, ხან იქით გადააქნევდა, ხან  
 აქეთ, ხან კი თავის ვერცხლის ფერ  
 თვალებს გიჟმაჟურად გადაატრია-  
 ლუბდა ხოლმე...

ყველა ამის იცეკვოალი და მოდა-  
 რაჯე ალაზანი, დღისით რომ უხმოდ  
 მიგორავს დაუსრულებელ მანძილზე,  
 იმასაც მოსწონებოდა ეს სანა-  
 ხაობა და ამრიალებულიყო... მხიარუ-  
 ლად გადაბრუნდ-გადმობრუნდებოდა  
 ხოლმე თავის ვეებერთელა კალაპოტ-  
 ში, და წინწკლებს მაყრიდა, არ და-  
 გეძინოსო...

ზოგჯერ ისეთი ამბით მოასქდებო-  
 და ხოლმე თავის კალაპოტს, თითქოს  
 უნდოდა ჩაენგრეინა და ჩემი თავიც  
 შიგ გადაეგდო...

თითქოს მეუბნებოდა: არაფრად მა-  
 რგისარ, ვერ მპატრონობ... ჩაიძარხე  
 ჩემს ტალღებში, გაჭირვების დროს  
 იმედი მაინც აღარ მექნება შენო!...

— ალაზანო, ალაზანო! მეც შენებრ  
 ველი განთიადის მოახლოვებას... და  
 მაშინ— — — იქნებ მოახლოვდა კი-  
 დეც? გავიხედე და აღმოსავლეთი  
 შერხეულიყო...

ჯავახიანი.



# ს ო ჟ ლ ა დ



გზირს ფოსტა მიუტანია

ნახატი ვალ. ს.—ერისთავისა.

\* \* \*

ცა მოღრუბლული შავს ჯოჯოხეთს ემგზავსებოდა,  
მთა ბარს დაჭროდა შეუპოვრად მრისხანე ქარი;  
საღდაც შორს ზღვაზე დაემსხვრიათ ტალღებს ხომალდი,  
იღუპებოდა მეზღვაური მოუსვენარი...

იღუპებოდა და ტალღებთან ბრძოლით დაქანცულს  
უმანკო სული ვიდრე სულ მთლად აღმოხდებოდა  
ძვირფას სამშობლოს არე-მარეს, მის მზეს და მთვარეს  
„მშვიდობით, სატრფოვ!“ სიყვარულით ეუბნებოდა!..

ქნარი.

## ლომნება

ბ, რომ იცოდეთ ეს ნორჩი გული მწვავე ფიქრებით როგორ ღონდება,  
დღის ალერსი, მისი ტკბილი ხმა სასოწარკვეთილს რომ მიგონდება!  
სხოვს, ოხ, მახსოვს, ვით შვლისა ნუკრი, მთის მწვერვალზე დაენაერდობდი,  
დავყურებდი ალაზნის პირსა, სიხარულის მეტს არაფერს ვგრძნობდი!  
ტა გენახათ მაშინ მიდამო როგორ ჰყვავოდა სხივებრ გაშლილი,  
ა საამურად იღიმებოდა ჩემი დარგული ყრმობის ყვაილი!  
ა რა ვიცოდი მე ბელით კრულმა თუ მოგონებას ცრემლით მოვრწყავდი?  
ამაშორებდნენ დედის მკერდიდან ბავშობისას რომ კალთით დავყავდი!  
ლა კი, ვი, დედის მაგიერ დამებატრონა შავი სატანა,  
ა სიხარული ამ ქვეყნიურს წარხოცა ჩემ გულს, ტყვედ წარიტანა.

ი. დაროშვილი.

## შეგვენებოდა

(ლ. შაველი)

I

ლოყები ყვითელს დამტკნარ ვაშლს  
უგავდა, თავზე ბულულის ოდენა შა-  
ი აწეწილი თმა ეფარა, მოგრძო სახის  
იკაპსა და გვერდებს დიდხინის შეუ-  
ვეცავი წვერი უბურავდა, მოგრძო  
სხვირი სიგამხდრისაგან ფირფიტად  
ქცეოდა, ცხვირის დასაწყისში აქეთ-  
ქით ორი შავი ჯურღმული მოუჩანდა  
... იყო, შიშველი ტანით  
დასმოდებულს გამხმარ ხეს მოაგო-  
ებდა ადამიანსა. ხელში რომელიღაც  
ცენარის ფესვი ეჭირა და ღრძილები-  
ა დაღრწინდა. ხან ერთს ალაგას იდგა  
ა ტოკავდა, ხან კიდევ დარბოდა და  
წარედ კვებოდა.

მსხმოიარე ხეხილს თვალი მოჰკრა  
ა იმისაკენ გაექანა, მშვენიერი ნაყო-  
ვი უნდა მოეწყვიტა, წასწვდა და  
ხელში გამოფიტული რაღაც უცნაური  
აგანი შერჩა. ხეხილი გახმა, ფოთო-  
ლი ჩამოსცივდა. ხეხილს მოშორდა  
და ხეხილმა მაშინათვე ფოთლებიც  
ამოიხსა და ნაყოფიცა.

— ოჰ!..—წამოიძახა ადამიანის მსგა-  
ვსებამ. უნდოდა ღმერთი ეხსენებინა,  
მაგრამ სიტყვა პირში გაეხიდა: ღმერ-  
თის ხსენების ნება არა ჰქონდა.

ქვა დაინახა და ჩამოჯდა.

— ოჰ, შე შეჩვენებულო!—მოესმა  
ქვიდან. — ადგილი კარგი, ადგილი  
კარგი!.. ნუ წამწყობიდე!

ქვა ძლიერად შეინძრა.

უცნაური არსება ზეზე წამოიჭრა.

— ოჰ, ზეციერო!—აღმოხდა კიდევ  
ხმა ქვასა. — გადამრეცხე, უწმინდო!

უცნაურმა ორნებამ საშინლად დაი-  
ღრიალა და მოჰკურცხლა.

გზაზე კივი წყარო დახვდა, დაეწა-  
ფა და წყალი დაშრა: პირში მშრალი  
ლამი მოხვდა.

პირქვე დაშობილს ზევიდან ვილა-  
ცამ ბოროტი ხარხარი გადმოაყარა.  
წამოვარდა, ზევით უნდოდა შეეხედნა,  
მაგრამ ვერ გაბედა: ცისა ეშინოდა.

— ოჰ!—წამოიძახა გამწარებულმა და  
კიდევ გაიქცა.

კლდეზე შედგა და უფსკრულს ჩახე-  
და. გადავარდნა დააპირა, მაგრამ  
საშინელება რამ წარმოუღვა: ქვედან

გახურებული შანთებით ემუქრე-  
ბოდნენ.

— ძალიან გვწყურიათ შენი მოსვლა  
ძალიან!.. დაუყვირა ტარტაროზმა. —  
მთელი საუკუნოობით გელით, მთელი  
საუკუნოობით!.. მოდი, გაბედე, იკმარე  
მანდ ყოფნა. ჩვენი კერძი უფრო ხარ.  
მოდი, მოგიალერსოთ: ენაში გახურე-  
ბულს ჩანგლებს ვაგიყრით და ისე ჩა-  
მოგკიდებთ, ფეხებში გაგვარვარებულ  
ბორკილებს დაგადებთ. წელზე ცე-  
ცხლისაგან გაწითლებულს რკინის  
სარტყელს შემოგაკრავთ და თვალეში  
მღულარე კუბრს ჩავასხამთ.

უცნაური არსება გათანგული იდგა,  
უფსკრულისთვის თვალეში ვერ მოე-  
ცილებინა და საზარელ სიტყვებს  
ისმენდა.

ბოლოს, როგორც იყო, მოშორდა  
კლდესა და ცახცახით გამობრუნდა.  
ზურგთ უკან ვილაცამ საზარლად გა-  
დიკასკასა. უნდოდა მიეჩინა, მაგრამ  
ვერ გაბედა.

მდინარესთან მიიღრინა: თვალე-  
ცხლიანმა გველაშაპმა თავი ამოჰყო და  
თავისი ალისფერი ბასრი ეშვები და-  
ანახა.

— ჯოჯოხეთში გელი!.. მშა!

დაიხრიალა საზღვრად.

გველს შეეხეხა: გაეხარდა, ცოცხალი  
არსება რომ დაინახა და გამოელაპა-  
რაკა.

— არა, ნუ მელაპარაკები! შენ ჩემ-  
ზე ძლიერ ხარ დაწყველილი!—შეჰსი-  
სინა ზიზლით გველმა და სოროში შე-  
სრიალდა.

ისფ მარტო დარჩა.  
მგზავრებს თვალი შეასწრო. ვინ  
იცის რამდენი ხანია აღარ ენახა თა-  
ვისი მსგავსნი, თვითონვე ერიდებოდა  
ხოლმე. ეხლა კი ძალიან მოუნდა  
მათთან მისვლა, თავი ვერ შეიკავა და  
წვილ-კივილით გამოეკიდა.

მგზავრები შეჩერდნენ. ერთი მოხუ-  
ცებული იყო, დანარჩენნი ახალგა-  
ზრდები.

— შეჩვენებულა!—წამოიძახა მო-  
ხუცებულმა და სწრაფად დაიხარა:  
ქვას ხელი დაავლო.

ყველამ უნებლიეთ მოხუცს მიჰბაძა.  
მხოლოდ ერთი ახალგაზრდა არ დაიხა-  
რა და ქვას ხელი არ წამოავლო.

— რას ჩადით!..—დაუყვირა ამხანა-

გებს, უნდოდა ეთქვა, შეიბრალებო, მაგრამ სიტყვა პირში გაუწყდა და წამსვე გაქვავდა.

შეჩვენებული დაფრთხა და მთებში მიიმალა.

ახალგაზრდა მგზავრები გაოცებული უცქეროდნენ ერთმანეთსა: ვერ მიხვებ-  
დარიყვნენ, ვინ იყო ის შიშველი ჩა-  
მომხმარი ადამიანი, ან რად უწოდა  
მოხუცმა თანამგზავრმა შეჩვენებული  
მოხუცი კი უცქეროდა ქვად ქვეულს  
თანამგზავრსა და სინანულით თავს  
იქნევდა.

— რა ღმერთი გამიწყრა, რომ და-  
ვიბენი და ვერ გაგაფრთხილეთ!—  
უთხრა ახალგაზრდებს. — კიდევ კარგი  
თქვენ მე მომბაძეთ და გულჩვილობა  
არ გამოიჩინეთ, თორემ ამ საცოდა-  
ვივით სიბრალოლი რომ გაგველით  
გულში, ხომ დაიღუპებოდით... წავი-  
დეთ ჩქარა, წავიდეთ! მოვშორდეთ ამ  
ადგილს!

მგზავრებმა პირჯვარი გაი-  
და თავის გზას გაუდგინა.

ქვას ვინ იყო ის გა-  
ოცებული, ან სიბრალოლის გულ-  
ში ერთმა გავლებამ რათ გააქვავა  
ჩვენი უბედური ამხანაგი?—შესთხოვა  
მოხუცს ერთმა თანამგზავრმა.

— გიამბობთ, შვილო! უთუოდ გიამ-  
ბობთ! უტარა გონება მოვიკრიფო.

მოხუცი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, ში-  
მედ ამოიოხრა და დაიწყო:

ძალიან, დიდხინის ამბავია, შვილე-  
ბო! ჰალარა წარსულს ეკუთვნის. ჩვენ  
ქვეყანას აუარებელი მტერი შემოესია  
თურმე. ხალხმა გზები შეუკრა და თავ-  
განწირული ბრძოლა აუტეხა. მრავალი  
იყო მტრის ჯარი, მაგრამ ვერას ხდე-  
ბოდა და იმუსრებოდა. უმთავრესი  
გზა ჩვენი ქვეყნისა დასაცველად ერთს  
დევემირს ჰქონდა დაკისრებული. თა-  
ვისი სიმამაკით რაინდს ასლანს მტე-  
რი განცვიფრებაში მოჰყავდა. ხშირად  
გამოიჭრებოდა ხოლმე ციხიდან მტე-  
რედი რაზმით და მოწინააღმდეგეს  
გულს უსიებდა.

— უნდა გადმოვიბიროთ მდევი ას-  
ლანი!—წამოიძახა მტრის სარდალთ  
სარდალმა. — ვინც ამას მოახერხებს  
ნახევარ ჩემ ქონებას მივცემ.

— უნდა გადმოვიბიროთ მდევი ას-  
ლანი!—წამოიძახა მტრის სარდალთ  
სარდალმა. — ვინც ამას მოახერხებს  
ნახევარ ჩემ ქონებას მივცემ.





მაგრამ ასეთი ადამიანთა შორის არაფერი აღმოჩნდა.

— მე მოვახერხებ!— მოახსენა სარდალთ სარდალსა ადამიანის სახით მოვლენილმა მაცდურმა. — დევგმირ ასლანის ჯავრი მეცა მჭირს: ისე არ მომიხსენიებს თუ არ გადააფურთხა და პირჯვარი არ გადიწერა!.. მხოლოდ შენი ასული დამითმე.

— ოღონდ ამ ლამაზი ქვეყნის კარი გამიღე და ჩემი სულიც ინებე!— შესძახა გახარებულმა სარდალთ სარდალმა.

— შენი სული უიმისოდაც შე მეკუთვინის... ეხლა, რაკი ასული დამითმე, წადილს ავასრულებ. — უთხრა მაცდურმა და მიიმალა.

III

ლამე იყო. დევგმირი ასლანი მარტო იჯდა ოთახში და ფიქრს მისცემოდა. კარი გაიღო, ვილაც უზარმაზარი ზანგი შემოვიდა და თან პირმოპურული და წამოსასხამში გახვეული ვინმე შემოიყვანა. ასლანი სწრაფად წამოდგა, უნდოდა თავისი რისხვა ზედ გადაენთხია და უპატივებელ სტუმართათვის, მაგრამ ენა ჩაუფარდა: ზანგის ბრძანებით პირმოპურულმა არსებამ რიდე მოიხსნა წამოსასხამი უკუაგლო და რაინდს თვალწინ პირად მზე და ტანად ლელწამი უცხო ასული წარმოუდგა.

— შენი მტრის სარდალთ სარდალის ასული. — გაისმა ქნარივით ტკბილი და ნარ-ნარო, სიამოვნების ჭრუნტელის მომგვრელი ხმა.

— გაულე ციხის კარი სარდალთ სარდალსა, — დაირუხრუხა ზანგმა, — და ეს ციური ქმნილება შენი იქნება, სარდალთ სარდალი დავისიძევეს და პირველ მეგობრად ეყოლები.

— ჩემ სახლში ხარო და ჩემი ხარო! — უპასუხა ამყად ასლანმა.

ზანგმა ერთი ძლიერად გადახარხარა და თავისი თანამგზავრით უჩინარ იქმნა.

გმირი სახტად დარჩა...

IV

გაიარა ორმა დღემ და მტერი ლამე მოულოდნელად ციხის გალავანში შევიდა. ციხის მცველი ჯარი ამოსუშვებულა სიმაგრეები მიანგრ-მოანგრიტს და დევგმირი ასლანი ნამძინარევი დასრულად სარდალს მიპვერულაო სარდალსა ცხადი იყო, მაგრამ ღალატის ჩამდენი კი არსად სჩანდა.

მტრისათვის ეხლა კი გზა ხსნილი იყო. სარდალთ სარდალი შემოესია ჩვენ ქვეყანას თავისი აუარებელი ჯარით, დაარბია, ერის სიამაყე, დიდებული სამოღვაწელო, სიძლიერით განთქმული საყდარი დაანგროა, ხალხს ხარჯი დაადო, დიდებულები მძევლებად გამოართვა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

რით, დაარბია, ერის სიამაყე, დიდებული სამოღვაწელო, სიძლიერით განთქმული საყდარი დაანგროა, ხალხს ხარჯი დაადო, დიდებულები მძევლებად გამოართვა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა.

წავიდა მტერი და დაწულულებულმა ჩვენმა ხალხმა თავის სიამაყის ნანგრევებზე თავი მოიყარა. წმიდა ადგილს უნდა მოალატე აღმოჩინა.

— ასლანიც მოდის, ასლანიც! — ასტეხა გაკვირებულმა ხალხმა უცხად განგაში.

— როგორ მომხდარა, რომ მტარვალს გაუნთავისუფლებია და სხვა დიდებულებთან ერთად მძევლად არ წაუყვანია? როგორ მომხდარა ჰა? როგორ მომხდარა? — ეკითხებოდნენ ყველანი ერთმანეთს, მაგრამ პასუხის მიმცემი არავინ იყო.

ხალხის საყვარელს გმირს ფერი წასვლოდა. ეტყობოდა ბევრი უძილო ღამეები გაეტარებინა. ერთად მოყრილი, დაბეჩავებული, ძონძებში გამოხვეული, ოდესღაც მედიდური ერი რომ დაინახა, გული აუჩოჩოლდა და უკანვე დაბრუნება დააპირა.

— შესდექი, ასლანი! — დაუძახა საყდრის საკურთხელოს ნანგრევებიდან ქალარა მღვდელმთავარმა, რომელსაც ხალხში წმიდანის სახელი ჰქონდა მოპოებული. ასლანი შეჩერდა. ველარსაით ფეხი ველარ გადადგა.

— რა მოუვიდა გმირს? რატო აგრე გაშეშდა? ჩურჩულებდა ხალხი.

— სუ, ჩემი! — დაიძახა ვიღაცამ, — ჩვენ წმიდა მამას ლაპარაკი ჰსურს.

— აბა, ხალხნო! — მიმართა ყრილობას მღვდელმთავარმა. — დეე თითოეული თქვენგანი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ მამაკაცი, დიდებული თუ უბრალო ერის კაცი, მოვიდეს და წმიდა სამსხვერპლოს ხელი შეახოს. დეე თვით წმიდა ადგილმა დაასახელოს, თუ თქვენში, ვინ არის ქვეყნის გამცემი.

ხალხი დაიძრა. ყველა მიდიოდა, სამსხვერპლოს მოწიწებით ხელს ადებდა და ისე სცილდებოდა.

— აბა, გმირო, ახლა შენი ჯერია! — გაიგონა ასლანმა და აცახცახდა. შიშმა აიტანა. ფეხი გადადგა სამსხვერპლოსაკენ და შეჩერდა.

— ნებ შენა! — ასლან, ჩქარა, ნუღარ აყოვნებ მოხუცმა.

— ასლანი მიუახლოვდა სამსხვერპლოს და ხელი ასწია.

მოალატეც, არ შემეხო შენი უწმინდური ხელით! — აღმოხდა ძლიერი ხმა სამსხვერპლოს გულიდან.

ხალხს თავხარი დაეცა. მღვდელმთავარი ქანდაკებას დაემსგავსა...

— დიახ, მე გავვიდე ქვეყანა! მე გავეცი ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ციხე! — დაიწყო ხმის კანკალით ასლანმა.

— ლამე მაცდური მომველინა, მტრის სარდალთ სარდალის მზისა დარი ასული დამანახა და გადამრია: სიყვარული ჩამივარდა გულში. ვნებათა ღელვა მწვავდა, მღაგავდა... ორი დღე ვებრძოდი ჩემ თავსა... მშვენიერი ასულის სახე თვლიდან არ მშორდებოდა... შემოუშვი მტერი ციხეშიო, ჩამჩურჩულუნდა მაცდური, და ეს ციური ქმნილება შენი იქნებო. ველარ გვედელი, მივედი მოსისხლე მტრის სარდალთ სარდალთან და ვუთხარი, მომათხოვე შენი მზეთა მზე და ციხეს ხელში ჩავიგდებ-მეთქი... დამპირდა, ციხის კარები გაუღე... თუ ხელ-ფეხ-შეკრული მიმიყვანეს სარდალთ სარდალთან, ეს მხოლოდ მოიხვენება აყო. ხალხის თვალების ასაბმელად მჭირდებოდა. მე უბედურს მეგონა ავიტანდი, დავმაღავდი ჩემ საქციელს, მაგრამ მოვსტყუედი: ძნელი ყოფილა ქვეყნის ღალატი... სარდალთ სარდალმაც კი, რომელმაც ჩემი წყალობით გაიმარჯვა, ასე მითხრა: მე მშობელ ქვეყნის მოალატეს ქალს ვერ მივცემო. გამომაგლო... მაცდური ამედეგა... თავს დამხარხარებდა... ჯოჯოხეთში ადგილს გიშოვო...

მთელი ყრილობა ზღვასებრ შეინძრა და განძვინვარებულ ტალღებად იქცა. ქვეყნის დამლუპველს წალეკვას უპირობდა.

— სიკვდილი!.. ჩავკოლოთ! — ყვიროდა დიდი და პატარა და ასლანს გარს ერტყმოდა.

მღვდელმთავარმა კვერთხი მალა ასწია.

— შესდექით! — დაიძახა მგრგვინვარე ხმით წმიდა მოხუცმა. — გამიგონეთ, ხალხნო! ეგ თქვენის ხელით სიკვდილის ღირსი. არ არის! განშორდით!.. მოალატის გარს შვეგოველები ტალღათა ხროვა მღვდელმთავრის ბრძანებას დაჰმოჰრიოდა, უცხად გაიპო შუაზე და უკან წამოვიდა, ნელ-ნელა გაიშალა.

— შენ, ასლანო, — დაიწყო მღვდელმთავარმა, — მაცხოვრის გამყიდველი იუდაც კი ვერ შეგეგობა! — უღოს ის ჩვენს უნდა აუცილებლო ემხდარიყო!.. მაცხოვარი ხალხისათვის

ეწამა, მაცხოვარმა თვითონ ტანჯვით ქვეყნიერების ციხეც დაიხსნა... შენ კი, ასლანო, ერთი იმ ხალხთაგანი გაეცი, რომელთათვისაც დედამიწის ზურგზე იუდას საქციელი მოხდა... იუდას უფლება ჰქონდა, თავი დაებრო, შენ ეს უფლება არ მოგეცემა. შენ უნდა იცოცხლო!.. უნდა იცოცხლო მრავალი საუკუნო!.. უბინაოდ... უსახლკაროდ... შენი საქმელი მხოლოდ მყარალი, მცენარის ფესვები პურს ხელს წაავლო, ქვად ხის ნაყოფს წასწვდები და გაბატულ არარაობად, წყალს დაეწა და მშრალს ღამს იგემებ. დეე ვცადანაც კი ლაპარაკი გენატრებოდე, დეე, როცა კი თავის მოკვლას ეპირებოდე, ჯოჯოხეთის გენია მოვლანდოს მთელი თავისი საშინელები რომ სასიკვდილოდ გამზადებული სციოცხლეს უკანვე დაუბრუნდე... მაღლს ახედვისა გეწინოდეს, ძირს, დედამიწის ზიზლით გიქცეოდეს; ქვაზე ჩამოჯდ ქვამ წამოგავდოს; ბალახზე გაიარო ბალახი ეკლად ეღებოდეს შენ ფეხებსა... ვინც სიბრაღულით, შემოგხედი გაქვადეს; გზაზე შემოგხვდეს ვინმე შემოგაფურთხოს და ქვა და გუნდ მოგაყაროს... ფუჰ! ფუჰ! ფუჰ! — მიფურთხა მოალატეს წმიდა მამამა და ქვა მიაგლო.

შეჩვენებულ ხალხს მოშორდა კლდე-ღრისაკენ დაეშვა. უკან მაცდურის ხითხითი გამოეკიდა.

მოხუცმა ქველი ამბავი გაათავა.

— მაშ ეს, პაპა, ეხლა რომ შემოგვცდა და ის ასლანი იქნებოდა. — ოასლანი ერთხმად ახალგაზრდებმა.

— სწორედ ის ასლანი იყო, სწორედ მთელ საუკუნის განმავლობა ერთხელ თუ დაენახებო ადამიანთორემ ისე სულ დამალულია, ემინი — სთქვა მოხუცმა და ჩაჩემდა. პაპა რა ხანს უკან ამოიხვრით დაუმატა ნეტავი იმ დროს, როცა წმიდა ადამიანები ცხოვრობდნენ, ნეტავი დროს! მაშინ ჰირ-ვარამს ადამი ადვილად იტანდა... მოალატეც კი გად ისჯებოდა... გადაეცით შეილგ შევილის შევილგებს, რომ თუ სადმე ლანი ნახონ, ნუ კი შეიბრალებს მიაფურთხონ და ქვა და გუნდა მყარონ.

მთელი ყრილობა ზღვასებრ შეინძრა და განძვინვარებულ ტალღებად იქცა. ქვეყნის დამლუპველს წალეკვას უპირობდა.

— სიკვდილი!.. ჩავკოლოთ! — ყვიროდა დიდი და პატარა და ასლანს გარს ერტყმოდა.


მღვდელმთავარმა კვერთხი მალა ასწია.

— შესდექით! — დაიძახა მგრგვინვარე ხმით წმიდა მოხუცმა. — გამიგონეთ, ხალხნო! ეგ თქვენის ხელით სიკვდილის ღირსი. არ არის! განშორდით!.. მოალატის გარს შვეგოველები ტალღათა ხროვა მღვდელმთავრის ბრძანებას დაჰმოჰრიოდა, უცხად გაიპო შუაზე და უკან წამოვიდა, ნელ-ნელა გაიშალა.

— შენ, ასლანო, — დაიწყო მღვდელმთავარმა, — მაცხოვრის გამყიდველი იუდაც კი ვერ შეგეგობა! — უღოს ის ჩვენს უნდა აუცილებლო ემხდარიყო!.. მაცხოვარი ხალხისათვის

ეწამა, მაცხოვარმა თვითონ ტანჯვით ქვეყნიერების ციხეც დაიხსნა... შენ კი, ასლანო, ერთი იმ ხალხთაგანი გაეცი, რომელთათვისაც დედამიწის ზურგზე იუდას საქციელი მოხდა... იუდას უფლება ჰქონდა, თავი დაებრო, შენ ეს უფლება არ მოგეცემა. შენ უნდა იცოცხლო!.. უნდა იცოცხლო მრავალი საუკუნო!.. უბინაოდ... უსახლკაროდ... შენი საქმელი მხოლოდ მყარალი, მცენარის ფესვები პურს ხელს წაავლო, ქვად ხის ნაყოფს წასწვდები და გაბატულ არარაობად, წყალს დაეწა და მშრალს ღამს იგემებ. დეე ვცადანაც კი ლაპარაკი გენატრებოდე, დეე, როცა კი თავის მოკვლას ეპირებოდე, ჯოჯოხეთის გენია მოვლანდოს მთელი თავისი საშინელები რომ სასიკვდილოდ გამზადებული სციოცხლეს უკანვე დაუბრუნდე... მაღლს ახედვისა გეწინოდეს, ძირს, დედამიწის ზიზლით გიქცეოდეს; ქვაზე ჩამოჯდ ქვამ წამოგავდოს; ბალახზე გაიარო ბალახი ეკლად ეღებოდეს შენ ფეხებსა... ვინც სიბრაღულით, შემოგხედი გაქვადეს; გზაზე შემოგხვდეს ვინმე შემოგაფურთხოს და ქვა და გუნდა მოგაყაროს... ფუჰ! ფუჰ! ფუჰ! — მიფურთხა მოალატეს წმიდა მამამა და ქვა მიაგლო.

შეჩვენებულ ხალხს მოშორდა კლდე-ღრისაკენ დაეშვა. უკან მაცდურის ხითხითი გამოეკიდა.



თ ლაგში სანთლებით ეძებენ ახლან გაყვანილს ელექტრონს.



ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობა ზოგი ალთას, ოგიც ბალთას.